

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“



2018 წლის წლიური ანგარიში

ჯვარი

2018

სსიპ პროფესიულმა კოლეჯმა „ლაკადა“ თავისი საქმიანობა 2018 წელს წინასწარ გაწერილი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად განახორციელა. კოლეჯის ხელმძღვანელ სტრუქტურას წარმოადგენს დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს და მონიტორინგს უწევს მის დამოკიდებულებაში მყოფ ერთეულებს. წარმოგიდგინთ სტრატეგიული გეგმის მიხედვით გაწერილ წლიურ ანგარიშს კონკრეტული მუხლების მითითებით:

1.1. ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესება უწყვეტი ციკლის საფუძველზე: დაგეგმვა, დანერგვა, შეფასება და განვითარება.

1.1.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავება.

1.1.2. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრებისა და მონიტორინგის განხორციელება.

1.1.3. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.

სსიპ პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ, ხარისხის მართვის მენეჯერისა და კოლეჯის იურისტის მიერ შემუშავებულ იქნა ყველა ის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც საჭიროებდა განახლებას ან ხელახლა შექმნას. მასზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა საქართველოს შრომის კოდექსისა და კოლეჯის შინაგანაწესში გაწერილი მუხლები. ყველა მარეგულირებელი აქტი განხილულ იქნა შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და ადმინისტრაციის შეხვედრებზე.

2016 წლიდან პროფესიულ კოლეჯში „ლაკადა“ შეიქმნა შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს და მონიტორინგს უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ჯგუფის შექმნის აუცილებლობა გამოიწვია მოდულური პროგრამების დანერგვამ, რომლის სრლფასოვნად განხორციელებისათვის და ყველა დეტალის წინასწარ განხილვისა და შეჯერებისათვის პედაგოგები საჭიროებენ კონსულტაციებს. ასევე, გარდა მოდულური სწავლების გაუმჯობესებისა ჯგუფის შეხვედრების თემებს წარმოადგენდა: შიდა ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება, წამახალისებელი აქტივობების დაანონსება და სხვა.

შიდა მხარდაჭერის ჯგუფი იკრიბებოდა თვეში ორჯერ, შეხვედრის ხანგრძლივობა იყო 1.5 - 2 სთ. სულ 2018 წელს შედგა 20 შეხვედრა.

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ლაკადა“ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ ყოველკვარტალურად ტარდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენს თუ რამდენად კმაყოფილი არიან სტუდენტები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსით.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- რა იყო ამ სასწავლებელში ჩაბარების და პროგრამის არჩევის ძირითადი მიზანი;
- რამდენად კმაყოფილი არიან არჩეული პროგრამის ხარისხისა და სწავლა/სწავლების დონით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამართლებს თუ არა მათ მოლოდინს;
- აკმაყოფილებს თუ არა პროგრამაში შემადგენელი სასწავლო კურსები, რის შეცვლას ან დამატებას ისურვებდნენ.
- მყოფილი არიან თუ არა სასწავლო გრაფიკით;
- რას გეგმავენ საგანმანათლებლო სასწავლებლის დასრულების შემდგომ;
- როგორ აფასებენ მასწავლებლისგან მიღებულ ცოდნას;
- როგორ აფასებენ სასწავლებლის ფიზიკურ გარემოს და ზოგად სიტუაციას სასწავლებელში.

კვლევის ჩატარებისთვის გამოყენებულ იქნა ანკეტირების მეთოდი.

გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, სსიპ პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენდნენ შეთავაზებული პროგრამით, თეორიული და პრაქტიკული მასწავლებლისგან მიღებული საგნის ცოდნით, ხარისხიანი სწავლებით, ზოგადად სიტუაციით სასწავლებელში, მონაწილეობით შეფასებაში და მათთან უკმაყოფილების მიზეზების დასახელებას ადგილი არ ჰქონია.

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამების გადაყვანა მოდულურ პროგრამებზე.

1.2.1. საგნობრივი პროგრამების სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის და კონდიტერის მოდულური პროგრამების შემუშავება.

კოლეჯი 2018 წელის დასაწყისისთვის ახორციელებდა 5 მოდულურ და 2 საგნობრივ პროგრამას. სულ სწავლება მიმდინარეობდა შემდეგ პროგრამებზე:

საგნობრივი

- კონდიტერი
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

მესამე საფეხურის მოდულური პროგრამა

- ინფორმაციის ტექნოლოგია
- ელექტრობა
- ექთნის თანაშემწე
- ფილამწყობი
- ზეინკალ-სანტექნიკოსი

პროგრამების ოპტიმიზაციის შედეგად დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის სტუდენტები მობილობით გადაყვანილ იქნა ელექტრობის სპეციალობაზე, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მოდულური პროგრამის სტუდენტები ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობაზე.

პროფესიული ტესტირების საფუძველზე 2018 წელს ჩაირიცხა 98 სტუდენტი.

მთელი წლის მანძილზე, ყოველი კვარტლის ბოლოს ხორციელდებოდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გარე მონიტორინგის ვიზიტი, რომლის მიზანი იყო მხარდაჭერა მოდულური პროგრამების დანერგვის საქმეში.

ავტორიზაციით დამატებულ იქნა სამკერვალო წარმოების მოდულური პროგრამა. პროფესიული სტანდარტების მიხედვით მოხდა სახელოსნოების მოწყობა, რომელიც გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამა შეფასდა დადებითად და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ დაამტკიცა აღნიშნული პროგრამა, რითაც სასწავლებლის პროფესიულ სტუდენტთა კვოტა გაიზარდა და განისაზღვრა 177 სტუდენტით.

3. საზღვრისპირა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა.

3.1. სწავლის მსურველთათვის მხარდაჭერის სამოქმედო გეგმის შემუშავება

3.2. შემუშავებული მხარდაჭერის სამოქმედო გეგმის განხორციელება

2018 წლის დასაწყისში შედგა სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი ნაწილი ეთმობოდა საზღვრისპირა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას. ამ მიზნის მისაღწევად პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენჯერის მიერ შედგა ვიზიტი ოკუპირებული ტერიტორიის გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელობასთან. მათი წარმომადგენლების სამუშაო სივრცე მდებარებს ქალაქ ზუგდიდში. შეხვედრისას მოხდა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, სადაც გამოიკვეთა რამდენიმე მაგალითი, რომლითაც ისინი ახდენენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის ინფორმაციის მიწოდებას ჯვარის პროფესიული კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ასევე, ხელს უწყობენ იმ პირთა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მიერ, რომელთაც ოკუპირებულ ზონაში აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო განათლება მიღებული. კერძოდ, აგროვებენ დოკუმენტებს, რომელსაც თვის ბოლოს აგზავნიან აფხაზეთის განათლების სამინისტროში და პასუხის მიღების შემდგომ უკავშირდებიან აღნიშნულ პირებს დადებითი და უარყოფითი პასუხების შეტყობინების მიზნით. ისინი წარმოადგენენ მედიატორებს აფხაზეთის სამინისტროსა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის. გალის რესურსცენტრის დაქვემდებარებაში შედის აფხაზეთის რამდენიმე საჯარო სკოლა, რომლებიც ფუნქციონირებენ ზუგდიდში. აღნიშნულ სკოლებში გალის რესურსცენტრის წარმომადგენლების ორგანიზებით წელიწადში ორჯერ იგეგმება ვიზიტები, სადაც ხდება ინფორმაციის მიწოდება საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების შესახებ. სამომავლოდ მსგავსი ვიზიტის დაგეგმვას ისინი ჩვენი წარმომადგენლის მონაწილეობით განხორციელებას დაგვირდნენ. ასევე, მათი თქმით, სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ წელიწადში ორი ვიზიტი სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სამომავლოდ ჯვარის პროფესიულ კოლეჯში ვიზიტსაც განხორციელებენ.

გალის რესურსცენტრის წარმომადგენლების რეკომენტაციით 2018 წელს ჯვარის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებზე სულ 4 სტუდენტი ჩაირიცხა. ამათგან, სამს გაუწიეს კონსულტაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარების საკითხში.

იქიდან გამომდინარე, რომ სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ მდებარეობს სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, სადაც 18 კმ მოშორებით მდებარეობს ოკუპირებული ზონის საზღვარი, კოლეჯს რეგულარულად სტუმრობს ევროკავშირის მისიის წარმომადგენლობა. ისინი სხვადასხვა არგენტულ საკითხებზე აწყობენ შეხვედრებს კოლეჯის სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციისა და პედაგოგებისათვის. კერძოდ, 2018 წელს შედგა შეხვედრები თემებზე: „ქალთა მიმართ ძალადობა და მისი პრევენციის გზები“, „ევროკავშირის მისიის ისტორია“.



გარდა შეხვედრებისა, ევროკავშირის მისიის წარმომადგენლები იღებენ ინფორმაციის კოლეჯის სტუდენტების შესახებ, სტატისტიკურ მონაცემებს დევნილი და ადგილობრივი სტუდენტებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც ეხება დევნილთა თვითრეალიზაციისა და ადგილობრივ თემში დამკვიდრების ხელშეწყობის საკითხებს.

4. მომზადება-გადამზადების პროგრამების შემდგომი გაზრდა/მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამების განხორციელება.

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ 2016 წლიდან ახორციელებს მოკლევადიან მომზადება-გადამზადების კურსებს და თემში მცხოვრებ ნებისმიერი ასაკის საბაზისო ზოგადსაგანმანათლებლო განათლების მქონე პირს სთავაზობს კოლეჯის მიერ ავტორიზებულ პროგრამებში უფასო მოკლევადიანი კურსების გავლას.

2018 წელს კოლეჯის ბაზაზე განხორციელდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში მსურველთათვის შეთავაზებულ იქნა შემდეგი მოკლევადიანი პროგრამები:

- კონდიტერი
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი
- ფილამწყობი
- ზეინკალ-სანტექნიკოსი
- ინფორმაციის ტექნოლოგია

აღნიშნულ პროგრამებზე ჩართვა ბენეფიციარებს საშუალებას აძლევდა მოკლე დროში დაუფლებოდნენ ამა თუ იმ პროფესიის საწყის უნარ-ჩვევებს შემდგომი დასაქმების მიზნით. პროგრამის ფარგლებში სულ გადამზადდა 81 ბენეფიციარი. აქედან, 68 დასაქმდა კერძო თუ საჯარო სექტორში, რაც პროექტის დადებით და წარმატებულ მხარეს წარმოადგენს.

5. სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა

5.1. ზრუნვა საერთო საცხოვრებლის მიწის ფართის რეგისტრაციის შეცვლაზე

5.2. საერთო საცხოვრებლის მშენებლობა

2018 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ლაკადა“ სამინისტროს დაფინანსებით თანამედროვე სტანდარტის 50 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის შესახებ.

6. პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის მუდმივი პროფესიული განვითარების შესაძლებლობის შექმნა.

6.1. პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადების გეგმის შემუშავება

6.2. პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგები

სსიპ პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება პროფესიულ მასწავლებელთა პიროვნული უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეხვედრების ორგანიზება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

2018 წელს



სასწავლებელში დაიგეგმა და განხორციელდა ბრიტანეთის საბჭოსა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მოსწავლეთა ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების, პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების

რეფორმირებისა და მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ ხუთ წამყვან კოლეჯებს შორის არის ერთ-ერთი, რომელიც ჩართულია საპილოტე პროგრამაში. რომლის ფარგლებში, კოლეჯის ინგლისური ენის პედაგოგი ჩაერთო ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

მასწავლებელთა ეროვნული ცენტრის მიერ 2018 წელს ჩატარებული იქნა ტრენინგთა ციკლი თემაზე: პედაგოგიური კურსის მე-5 მოდული - „პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა პროფესიული განვითარება“



გარდა ამისა, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროექტის



ფარგლებში უცხო ენის მოხალისე მასწავლებელი ეხმარება ინგლისური ენის მასწავლებლებს უცხო ენის გაკვეთილების დაგეგმვა - ჩატარებაში.

პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის მუდმივი პროფესიული განვითარების და უცხოური გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით 2018 წელს სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ლაკადა“ იმყოფებოდა სენიორ ექსპერტთა სერვისის (SES) გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების პროგრამის ფარგლებში გერმანელი ექსპერტი. ვიზიტი ითვალისწინებდა სამშენებლო მიმართულების პედაგოგებისთვის გერმანული სწავლების მოდელის გაზიარებას.

7. სხვა პროექტები

„სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების პროგრამა“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივით ქვეპროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსი ჯვარის პროფესიულმა კოლეჯმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის შემდეგ საჯარო სკოლებში განახორციელა:

- წალენჯიხის #1 საჯარო სკოლა - მარტივი პანოები - მოზაიკის აწყობა პანოებით;
- წალენჯიხის #2 საჯარო სკოლა - მარტივი პანოები - მოზაიკის აწყობა პანოებით;
- ჯვარის #1 საჯარო სკოლა - ელექტრული წრედები.



აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა 2017 წლის პროექტების გაგრძელებას. სასწავლო კურსის ფარგლებში ბენეფიციარი სკოლები დამატებით აღიჭურვა, კომპიუტერით, პროექტორითა და მონიტორით. კურსის ბოლოს კი ყველა მონაწილეს გადაეცა პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი.